შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21 (10.077)

17—24 ივნისი, 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ცაცია ოსტატის“ თოჯინები ნამდვილად იცინიან

გვ. 3

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ალოობა აქტიურ ფაზაში შედის

გვ.2

სამუხის ველზე ლიკლიკების მეცხრე თაობა დაიბადა

გვ. 5

დაკავება დედოფლისწყაროში

გვ.7

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, სოლომონ ღორაშვილთან ერთად სოფელ ხორნაბუჯში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში სოფელ ხორნაბუჯში ჩოლოყაშვილის და დუმბაძის ქუჩების, ასევე, საბავშვო ბაღთან მისასვლელი საავტომობილო გზების მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა და მისი ჯამური ღირებულება 419 777 ლარს შეადგენს.

ჩოლოყაშვილის და დუმბაძის ქუჩების, ასევე, საბავშვო ბაღთან მისასვლელი საავტომობილო გზების მოწყობა რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

ძლიერი სტიქია გურჯაანში

მოსული უხვი ნალექისა და სეტყვის შედეგად, გურჯაანში, თავისუფლების ქუჩა დაიტბორა, რამაც ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერება გამოიწვია, დაიტბორა შენობების პირველი სართულები.

გურჯაანის გარდა მუნიციპალიტეტის სოფლებში: ძირკოკი, ვეჯინი, გურჯაანი, ჭანდარი, უხვი ნალექის შედეგად ადიდებულია ხევები.

სტიქიის ზონაში იმყოფებოდნენ - კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, ლერი გელენავა და საკრებულოს თავმჯდომარე, ვანო ბერიძიშვილი.

ადგილზე იყო მობილიზებული ყველა შესაბამისი უწყება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მძიმე ტექნიკა, ცოცხალი ძალა.

მიმდინარეობდა ამოტუმბვისა და გზის გაწმენდის სამუშაოები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ალოობა აქტიურ ფაზაში შედის

ქერისა და ხორბლის მოსავლის აღების შეუფერხებლად უზრუნველყოფისათვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა, პაატა ღვინიაშვილმა და დედოფლისწყაროს სერვის ცენტრის ხელმძღვანელმა ივანე პართენიშვილმა მიიღეს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ დედოფლისწყაროს თვითმმართველობა ქვეყნის ხელისუფლებასთან და „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკისა და სერვისების კომპანიასთან“ კოორდინირებულად მზადაა შესაძლო პრობლემების პრევენციისათვის. ასევე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მცირე მიწიან ფერმერებზე, რათა მათ მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავების საშუალება მიეცეთ.

„ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რომ მოსავლის აღების სამუშაოები შეუფერხებლად, აგროვადების დაცვით ჩატარდეს. არ უნდა დავუშვათ, ფერმერებს რაიმე სახის პრობლემა შეექმნათ“-განაცხადა შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი შეიზღუდება

მთავრობის გადაწყვეტილებით, 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი 2024 წლის პირველი იანვრიდან შეიზღუდება. როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რეგულაცია მსუბუქი ავტომობილებისთვის ძალაში 2024 წლის პირველი იანვრიდან უნდა შევიდეს. ხოლო ავტობუსებისა და სატვირთო ავტომობილებისთვის 2025 წლის პირველი იანვრიდან.

„ჰაერის დაბინძურების საკითხი ყველას გვაწუხებს. ჩვენს ქალაქში, დედაქალაქში და ასევე მსხვილ ქალაქებში ძალიან დიდი პრობლემაა. დეტალური კვლევები გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ჩაატარა. მინდა მიღებული გადაწყვეტილება გაგაცნოთ. ჩვენ დიდი ხანია, რამდენიმე წელია საწვავზე სტანდარტი დავაწესეთ და ევრო 5-ის სტანდარტის საწვავი შემოდის საქართველოში. ამას მონიტორინგს მუდმივად უტარებს გარემოს ეროვნული სააგენტო. დიზელი იყო დარჩენილი, მივიღეთ გადაწყვეტილება და ევრო 5-ის სტანდარტის დიზელი შემოდის. ხარისხის რუტინულად შემოწმება ხდება. დღეს ერთი-ერთი მთავარი გამოწვევა რაც დარჩა, არის ჰაერის დაბინძურება, რაც დაკავშირებულია ბევრ გაუმართავ ავტომობილთან. მოგეხსენებათ, რომ ეს პირდაპირ კავშირშია ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებასთან და ვფიქრობთ, ეს ყველაფერი დადებითად აისახება მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც. ჩვენ ვიმსჯელეთ და გადავწყვიტეთ, რომ ქვეყანაში ავტომობილების ევრო 5-ის სტანდარტი შემოვიღოთ. ეს ნიშნავს იმას, რომ 2013 წლამდე გამოშვებული ავტომობილების იმპორტი შეიზღუდება. რეგულაცია მსუბუქი ავტომობილებისთვის ძალაში 2024 წლის პირველი იანვრიდან უნდა შევიდეს. ხოლო ავტობუსებისა და სატვირთო ავტომობილებისთვის 2025 წლის პირველი იანვრიდან. ამაზე ჯერ კიდევ ვმსჯელობთ. ამ თარიღებიდან ქვეყანაში ვეღარ დარეგისტრირდება ევრო 5-ის სტანდარტზე უფრო ცუდი ხარისხის ავტომობილი. მიღებული გადაწყვეტილება არ შეეხება ქვეყანაში უკვე არსებულ ავტომობილებს, ისევე როგორც რეექსპორტისა და ტრანზიტის მიზნებისთვის შემოსულ ავტომობილებს“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, გარემოს ეროვნული სააგენტო რეგულარულად ზომავს ჰაერის ხარისხს და ქვეყანაში ორი პრობლემური დამაბინძურებელი გამოიკვეთა, მყარი ნაწილაკები და აზოტის ორჟანგი.

„ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზომვების შედეგები გვაჩვენებს, რომ აზოტის ორჟანგით ჰაერის დაბინძურების უმთავრესი წყარო არის სწორედ ეს მოძველებული და გაუმართავი ავტოტრანსპორტი. ამ დაბინძურების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება მსხვილ ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ზესტაფონში, მარნეულში, ხაშურში, ახალციხესა და ჭიათურაში. აღნიშნული პრობლემა ყველაზე მძაფრად დედაქალაქში დგას, სადაც ყოველდღიურად ყველაზე მეტი ავტომობილი მოძრაობს. თბილისში ნორმების გადაჭარბება 25-იდან 13 ლოკაციაზე ფიქსირდება და ამ ქუჩებზე გადაჭარბება ორჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ჩვენ გასულ წელს გავზომეთ ჰაერის ხარისხი და ბოლო პერიოდში გაზრდილია მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის მოცულობა და ამიტომ მას სჭირდება დროული რეაგირება. გადავხედეთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. რეგიონში არცერთი ქვეყანა არ დარჩა, რომელმაც ევრო 5-ის სტანდარტზე არ გადაიყვანა ავტოპარკი. ეს რეგულაციები მანამდე უკვე შემოღებული აქვთ სხვა ქვეყნებს, მათ შორის ჩვენს მეზობლებს სომხეთსა და აზერბაიჯანში. ევროპაში დიდი ხანია ეს სტანდარტია დაწესებული,“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი შარლ მიშელს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში შეხვედრებს აგრძელებს. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა პრემიერ-მინისტრს სამუშაო სადილზე უმასპინძლა.

შეხვედრის მთავარი თემა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი იყო. მხარეებმა განიხილეს საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების კუთხით. ლიდერებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნის ევროპული პერსპექტივის აღიარება ისტორიული გადაწყვეტილებაა და ხაზი გაუსვეს, რომ წლის ბოლოს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის, მათ შორის, პოლარიზაციის დასრულების თვალსაზრისით.

საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონში უსაფრთხოების გარემოს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ რთულ ვითარებას. აქცენტი გაკეთდა საქართველოს მნიშვნელოვან როლზე რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის.

შექმნილ ვითარებაში პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა რეგიონში ევროკავშირის ჩართულობის მნიშვნელობა ,როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობის, ისე საქართველოსა და ევროკავშირს შორის შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ინფრასტრუქტურული კავშირების გაღრმავების თვალსაზრისით.

ირაკლი ღარიბაშვილმა შარლ მიშელს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მხარდაჭერის საქმეში გაწეული პირადი ძალისხმევისა და საქართველოს ევროპული პერსპექტივის მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

როგორია ბავშვზე ზრუნვის სისტემა საქართველოში

„საქართველოში ბავშვების 38 პროცენტი განიცდის მატერიალურ და სოციალურ დანაკლისს“, - წერია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით „საქსტატის“ მიერ ჩატარებულ კვლევაში საქართველოში ბავშვთა კეთილდღეობის შესახებ.

გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური პოლიტიკის და ეკონომიკის სპეციალისტი ქეთევან მელიქაძე ამბობს, რომ გამოიკვლიეს ბავშვთა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, განათლებასა და სოციალურ დახმარებაზე; სკოლებში კვება, ბავშვების მატერიალური და სოციალური დანაკლისები, აღზრდის მეთოდები, ბავშვთა ფუნქციური სირთულეები.

„გვინდა რომ წამოვწიოთ ბავშვთა უფლებების დაცვის საკითხები და სწორედ ამის გამო ჩავატარეთ ეს გამოკვლევა. მხოლოდ ის კი არ არის მნიშვნელოვანი, თუ როგორ უჭირს ოჯახებს ფინანსურად, არამედ ისიც, რომ ის მწირი რესურსები რამდენად მიემართება ბავშვის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. ბავშვთა სიღარიბის ფინანსური საზომი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ბავშვის კეთილდღეობაზე. საინტერესოა, ბავშვი რას ღებულობს იმ განათლებიდან, რაზედაც აქვს ხელმისაწვდომობა, ან ჯანდაცვის სფეროდან, ასევე სოციალურ მომსახურებებზე და საერთოდ, ძალიან საინტერესოა, როგორ ხდება ბავშვის აღზრდა ქვეყანაში, რა მეთოდებს ვიყენებთ, ესეც მისი კეთილდღეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზომია“.

კვლევაში გამახვილებულია ყურადღება ბავშვთა კეთილდღეობისთვის საჭირო სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის კვებაზე, მატერიალურ და სოციალურ დანაკლისზე, ასევე აღზრდაზე.

ქეთევან მელიქაძე განმარტავს, რომ სასკოლო კვების საკითხი ქვეყანაში ისევ პრობლემაა. მისივე თქმით, საზოგადოებაში არსებობს სოციალური დაკვეთა, რომ სკოლამ უზრუნველყოს ბავშვთა კვება. კითხვაზე, უნდა უზრუნველყოფდეს თუ არა სკოლა ბავშვს საკვებით, სასკოლო ასაკის ბავშვების მშობლების/ოჯახის წევრების 83.2% პასუხობს, რომ კი.

„თემაზე ბევრი მსჯელობა და კრიტიკაა. იმისათვის, რომ დავხმარებოდით ხელისუფლებას, რათა მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამა განახორციელოს, შევისწავლეთ არსებული პრაქტიკა და გავზომეთ ბავშვის სასკოლო კვება, რაც გამომდინარეობდა იმ პოლიტიკური და სოციალური დაკვეთისაგან, რაც ქვეყანაში არსებობს. მთავარი ბარიერები, რატომაც არ იკვებებიან ბავშვები სკოლაში, არის საჭმლის არ არსებობა სკოლაში და მიმდებარე ტერიტორიაზე. ასევე, ფინანსური ხელმისაწვდომობა. საჭიროა, აწყობილი იყოს მიწოდების ჯაჭვი, რომ ბავშვმა იკვებოს ჯანსაღად“.

რაც შეეხება ბავშვის აღზრდას, კვლევის თანახმად, აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენება წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია. გოგონებთან შედარებით, ბიჭები უფრო მეტად ექვემდებარებიან აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს.

„კვლევის შედეგებმა გამოკვეთა, თუ რა უთანასწორობა არსებობს ბავშვების სხვადასხვა ჯგუფს შორის, თუმცა ყველაზე კრიტიკული ფაქტორი მატერიალური და სოციალური დანაკლისია“.

გამოკვლევის შედეგები 1279 რესპონდენტის გამოკითხვას ეყრდნობა.

უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ავტოსკოლების ლიცენზირების საკითხზე მუშაობა დაიწყოს

საავტომობილო მოძრაობის კუთხით არსებული სავალალო ვითარების ერთ-ერთი მიზეზი ავტოსკოლების უკონტროლო საქმიანობაა.

სფეროს ექსპერტები საუბრობენ, რომ აუცილებელია ეს სფერო რეგულაციების ქვეშ მოექცეს, რაც ერთ-ერთი ევროდირექტივაა. როგორც ფონდის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“ დირექტორმა ირაკლი იზორიამ განმარტა, წლებია, სფეროს ექსპერტები და ასოციაციები აღნიშნული რეგულაციის ამოქმედებას ითხოვენ, თუმცა, საკითხი ადგილიდან ჯერ არ დაძრულა.

მისი თქმით, ამ დარგზე დღეს რეგულაციები არ ვრცელდება და ავტოსკოლის გახსნისთვის არათუ ინდმეწარმის ან შპს-ს დარეგისტრირებაა საკმარისი, ასეთი სკოლების 95% საერთოდ რეგისტრაციის გარეშე საქმიანობენ და ერთი-ორი სკოლა თუ არის, რომელსაც შსს-ს მომსახურების სააგენტოში შესაბამისი დოკუმენტაცია (ინფრასტრუქტურის, სასწავლო მეთოდოლოგიის, ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ) აქვს წარდგენილი.

იზორიამ აღნიშნა, რომ საგზაო მოძრაობის კუთხით ქვეყანაში არსებული რთული ვითარების ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ავტოსკოლების რეგულაციების მიღმა ყოფნაა.

რა ასაკის ავტომობილებს ფლობენ საქართველოში

საქართველოში მსუბუქ ავტომობილთა ასაკი ერთ-ერთი ყველაზე მაღალია ევროპის ქვეყნებს შორის. ამის შესახებ Galt&Taggart-ის კვლევიდან ვიგებთ.

„ძველი ავტომობილების ამგვარი დომინაცია მათი ჩანაცვლების საჭიროებაზე მიუთითებს“, - წერია ანგარიშში.

2022 წლის სექტემბრის მონაცემებით, ქვეყანაში ავტომობილების უმეტესობა 2002 წლამდეა წარმოებული.

ავტოპარკის ასაკის დეტალური მონაცემები ასეთია:

- 20 წელზე მეტის - 53%;
- 11-20 წლის - 30%;
- 7-10 წლის - 11%;
- 4-6 წლის - 3%;
- 0-3 წლის - 3%.

კვლევიდან ირკვევა ისიც, რომ საქართველოს ავტოპარკის 35% თბილისშია თავმოყრილი, დანარჩენი კი, რეგიონებში. რაც შეეხება სხვა რეგიონებს, ქვეყნის საერთო ავტოპარკის 14% იმერეთშია, 10% - ქვემო ქართლში, 9% - კახეთში, 7% - სამეგრელოში, 8% - აჭარაში, 6% - შიდა ქართლში, 4% - სამცხე ჯავახეთში, სხვა რეგიონებში კი - 8%.

ცნობისთვის, 2024 წლის პირველი იანვრიდან საქართველოში 2013 წლამდე ასაკის მსუბუქი ავტომობილების იმპორტი იკრძალება. 2025 წლის პირველი იანვრიდან კი, ავტობუსებისა და სხვა 10 წელზე ადრე გამოშვებული სატრანსპორტო საშუალებების იმპორტიც აიკრძალება.

„ცაცია ოსტატის“ თოჯინები ნამდვილად იცინიან

ეკოლოგიურად უსაფრთხო სათამაშოები — ბავშვებს!

ჟირაფი ჟოზე, ზღარბი ვაშლით, მანქანები, თვითმფრინავები და სხვა, ბავშვებისთვის საყვარელი პერსონაჟები ზღაპრულ სამყაროს გიხსნიან და ბავშვობაში გამოგზაურებენ, სამყაროში, სადაც სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე. ასე გგონია, რომ ამ სათამაშოების ოსტატებიც კეთილ ჯადოქრებს ჰგვანან და ჯადოსნური ჯოხის ერთი აქნევით გავშვების ოცნებებების ახდენა შეუძლიათ. გარკვეულწილად ასეცაა, რადგან ყველა სათამაშო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციისგან მზადდება, ბავშვებისთვის უსაფრთხოა და ფასიც ხელმისაწვდომია. „ცაცია ოსტატის“ შვილებიც ამ სათამაშოებით იზრდებიან. მათი და საწარმოს ასაკის მატებასთან ერთად იხვეწება და მრავალფეროვანი ხდება პერსონაჟთა რიცხვიც...

იდეა დიდი ხნის წინათ დაიბადა. თავიდან იყო ბავშვობის ასაკში შექმნილი ხის ნაკეთობები, შემდეგ ავეჯის ბიზნესი სცადა, მოგვიანებით კი სათამაშოების კეთებას მიჰყო ხელი, რადგან ქართულ ბაზარზე ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოების დეფიციტი იყო.

დღეს, „ქართული თემის“ მიერ დამზადებულ სასაჩუქრე ნაკრებში, რომელიც კოშკის სახელითაა ცნობილი ქართულ ბაზარზე, დედოფლისწყაროელი შოთა შანშიაშვილის მიერ შექმნილ ხის სათამაშოს აღმოაჩენთ.

საწარმოში ნატურალური ხისგან შექმნილი სათამაშოები იწარმოება სუფთა გარემოში, ხარისხზე ორიენტირებული ოსტატების მიერ. პროდუქციის საბოლოო სახის მისაღებად გამოიყენება ეკოლოგიურად სუფთა, სერთიფიცირებული საღებავები, მცენარეული ზეთი და ფუტკრის სანთელი, რაც ცალსახად ხდის

პროდუქტს ეკოლოგიურად სუფთას და უსაფრთხოს. პროდუქტს გამოარჩევს მაღალი ხარისხი, შემეცნებითი და ეთნოგრაფიული დიზაინი.

კომპანიის დამფუძნებელია შოთა შანშიაშვილი, მისი გამოცდილება ხის მხატვრულად დამუშავების მიმართულებით დაიწყო ბავშვობის ასაკში, დაამთავრა ლიცეუმი და პროფესიულ დონეზე აგრძელებს საქმიანობას აღნიშნული მიმართულებით. „ცაცია ოსტატის“ ნამუშევრებზე მოთხოვნა მალე გაიზარდა, რის შემდეგაც მისმა დამფუძნებელმა ახალი, უფრო ფართო საწარმოს გახსნაზე დაიწყო ფიქრი.

შოთა შანშიაშვილმა, საწარმოს სრულყოფისა და გადაიარაღების მიზნით, ბევრ პროექტში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც. სწორედ ამისი დასტურია მის საწარმოში უამრავი ახალი დაზგა, რომელიც სათამაშოების დამზადების პროცესს უადვილებს პერსონალს. ამის პარალელურად, „ცაცია ოსტატი“ -ს სახელოსნოში კვლავ უხვადაა შოთას მიერ შექმნილი დანადგარები, რომლებიც ექსკლუზიურია და თანამედროვე, უცხოეთიდან გამოწერილი დაზგების გვერდით საპატიო ადგილს იკავებენ.

რამდენიმე დღის წინ „ცაცია ოსტატს“ სოფლის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები, სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილე ნატალია ხარატიშვილი, კახეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ალადაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და გაეროს განვითარების პროგრამის „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ კოორდინატორი გიორგი ციმინტია ახლადგახსნილ საწარმოში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნენ. მათ დაათვალიერეს საწარმო, რომლის ექსკურსიამძღოლობა თავად შოთა შანშიაშვილმა იკისრა. სტუმრები გაეცნენ საწარმოს დაარსების ისტორიას, სათამაშოების დეტალების დამზადების ტექნოლოგიას და სამომავლო გეგმებიც მოისმინეს მისი ხელმძღვანელისგან, რომელმაც გრანტის ფარგლებში მიღებული დაფინანსების წყალობით სათამაშოების სახელოსნოს გაფართოება მოახდინა. საწარმოს მოსაწყობად ინვესტიციის მოცულობამ 100 000 ლარზე მეტი შეადგინა, მათ შორის, სოფლის განვითარების პროგრამის თანადაფინანსება 79 000 ლარია.

საწარმოში 5 ადგილობრივია დასაქმებული და ყოველდღიურად 20 000 სათამაშოს ამზადებს. კომპანიის პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე იყიდება; უახლოეს მომავალში იგეგმება პროდუქციის ექსპორტიც.

„სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა არის საშუალება, რომ სოფლად მაცხოვრებელ მოსახლეობას დავეხმაროთ, შექმნან დოვლათი და ეკონომიკურად გაძლიერდნენ“, - აღნიშნა სოფლის განვითარების სააგენტოს დირეტორის მოდგილემ, ნატალია ხარატიშვილმა.

გაეროს განვითარების პროგრამის „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ კოორდინატორ გიორგი ციმინტიას განცხადებით, ევროკავშირი და გაეროს განვითარების პროგრამა უკვე მრავალი წელია ხელს უწყობს საქართველოში სოფლის განვითარებას, ახალი შესაძლებლობების შექმნას სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის. ამ ეტაპზე, პროექტის ფარგლებში, 500-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ***დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი***: „მადლობა სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, მადლობა ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ საწარმოს განვითარების საქმეში, რადგან სწორედ აქაა ევროპა, სადაც ხდება ადამიანების ნიჭის ხელშეწყობა და განვითარება. „ცაცია ოსტატი“ დასტურია იმის, რომ საქართველოშიც შეიძლება გახდე წარმატებული“.

საწარმოს დამფუძნებელი შოთა შანშიაშვილი ამბობს, რომ მისი მიზანია, მომავალში გამოუშვას ისეთი სათამაშო, რომელიც ბავშვის გონებრივი თვალსაწიერის გაფართოების გარდა, მოზარდი თაობის წესრიგისადმი და დისციპლინისადმი დამოკიდებულების გაზრდას შეუწყობს ხელს.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია საქმიანობის გაფართოებასა და წარმატებებს უსურვებს „ცაცია ოსტატს“.

ინგა შიოლაშვილი

„ჩვენი თაობა ბევრად აქტიური და ლაღია“...

აბიტურიენტებისთვის ყველაზე ცხელი პერიოდი დაიწყო. სულ მალე მათ ეროვნული გამოცდების ჩაბარება და უმაღლეს სასწავლებლებში სასურველ სპეციალობებზე როგორც ადგილის, ისე დაფინანსების მოსაპოვებლად ბრძოლა მოუწევთ. „შირაქი“ დედოფლისწყაროელ ოქროს მედალოსნებს ესაუბრა და მათი სამომავლო გეგმებითა და მოსაზრებებით დაინტერესდა.

– როგორია თქვენი პროფესიული არჩევანი?

ლიზი თეთრაული ***(ქვემო ქედის სკოლის მედალოსანი):*** „არჩევანი შევაჩერე სამედიცინოზე. ძალიან მომწონს სამედიცინო სფერო და ვფიქრობ, რომ საუკეთესო ვარიანტია ჩემი თავის გამოსახატად. კონკრეტულად მაინტერესებს კარდიოლოგია. ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მომხიბლავი განხრაა და ვიმედოვნებ, რომ თავს ზუსტად ამ სფეროში დავიმკვიდრებ“.

ლიზი თეთრაული

ლაშა ლეკაშვილი ***(სამრეკლოს სკოლა):*** „ბავშვობიდან ყოველთვის დაინტერესებული ვიყავი პროგრამირებით და ტექნიკით, ამიტომ რაც უფრო წლები მომემატა, უფრო დამაინტერესა ამ საკითხებმა. რაც შეხება ფაკულტეტს, კომპიუტერულ მეცნიერებას ვირჩევ და ამ მიმართულებით განვვითარდები“.

ვალერი ვარდიშვილი ***(ზემო ქედის №2 სკოლა):*** „მომავალ პროფესიად გრაფიკული დიზაინერობა მაქვს არჩეული, რადგან ვფიქრობ, რომ ეს არის მომავლის პროფესია, რომელიც ჩემს ინტერესებს ზუსტად ეხამება. ვფიქრობ, ეს მომცემს შესაფერის თავისუფლებას, რათა საკუთარი მე კარგად წარმოვაჩინო. ჩემთვის გრაფიკული დიზაინის უდიდესი პლუსია მსოფლიო ბაზართან მარტივი კავშირი ქვეყნიდან გაუსვლელად, რაც საქართველოს მოქალაქისთვის უდიდესი ფუფუნებაა. ხატვა მიყვარს, დიზაინის კურსიც გავლილი მაქვს და ვიცი რა ხდება, ანიმაციებსაც ვხატავდი ხოლმე“.

ტატო ბენაშვილი ***(წმ.მეფე გორგასლის სახ. საპატრიარქოს სკოლა):*** „სამედიცინოზე ვაპირებდი ჩაბარებას, რადგან სულ მინდოდა, ისეთ ხალხს დავხმარებოდი, რომლებიც დაავადებებისგან, ან რაიმე ტრავმისგან იტანჯებიან. ბოლო ორი წლის განმავლობაში, სხვადასხვა გარემოებათა გამო მომიწია ფსიქოლოგიურად ტრავმირებულ ადამიანებთან კონტაქტი და დავაკვირდი მათ. მივიღე ცოდნა წიგნებიდან და ონლაინ ტრენინგებიდან, ვიყავი ორგანიზაციაში და ვეხმარებოდით სხვებს. ახლა კი, როდესაც პროფესიის არჩევა მიწევს, გადავწყვიტე ჩავაბარო ფსიქოლოგიაზე, რადგან ჩემი უნარები გამოვიყენო, როგორც ცალკეულ ადამიანთა გამოჯანმრთელებაში, ასევე საქართველოში ამ სფეროს განვითარებაში.

– რამდენად ახერხებს სკოლა, მოსწავლეს მისცეს სათანადო ხარისხის განათლება?

ლიზი თეთრაული: „ჩემი გადმოსახედიდან, სკოლას უდიდესი პერსპექტივა აქვს იმის, რომ ბავშვს მისცეს სათანადო განათლება, თუმცაღა, რა თქმა უნდა, გარკვეული თემები დასახვეწია. ბავშვის მონდომებისა და მშობლების ჩართულობის შედეგად სკოლა იქცევა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპად მოსწავლის ცხოვრებაში, სადაც შესაძლებელი ხდება სათანადო ხარისხის განათლების მიღება.

ლაშა ლეკაშვილი: „სხვა სკოლებზე მე ვერ ვისაუბრებ, მაგრამ სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლით, დარწმუნებული ვარ, რომ მოსწავლეების უმეტესი კმაყოფილია. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს უძვირფასეს მასწავლებლებს რომლებმაც არა მარტო გაკვეთილები გვასწავლეს, არამედ საკუთარი შვილებივით აღგვზარდეს.

ვალერი ვარდიშვილი: „ჩემი სკოლა ნამდვილად არის მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებაზე ორიენტირებული. ყველა პირობაა, რომ ბავშვებმა მიიღონ კარგი განათლება. სკოლას ჰყავს ბევრი წარმატებული კურსდამთავრებული და გრანტიანი სტუდენტი“.

ტატო ბენაშვილი: „ზოგადად, სკოლაში არსებული განათლების სისტემა შესაცვლელია, რადგან ზედმეტად მარტივად ასათვისებელი პროგრამაა.


ლაშა ლეკაშვილი

არ უნდა ითვლებოდეს ნორმალურად ის ფაქტი, რომ ეროვნული გამოცდების ჩასაბარებლად მოსწავლეებს ერთი წლის განმავლობაში მიღებული ცოდნითაც შეუძლიათ უნივერსიტეტში მაღალი ქულებით მოხვედრა. ვისურვებდი, საატესტატო გამოცდების დამატებას ისე, როგორიც წლების წინ იყო, რომელიც ნამდვილად აჩვენებს სკოლასაც და მოსწავლესაც განათლების ხარისხს და დაეხმარება ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. რა თქმა უნდა, ჩვენი სკოლა განსხვავებულია დანარჩენი საჯარო სკოლებისგან და ნამდვილად გვაძლევს შედარებით მეტ განათლებას მაღალი პასუხისმგებლობისა და მოწესრიგებული გარემოს ხარჯზე. პანდემიის დროს ჩავარდნა თითქმის არ გვქონია და როგორც კი შესაძლებელი იყო სწავლის სკოლაში გაგრძელება, დირექტორი მუდამ ამისთვის იბრძოდა. სხვა სკოლებში არსებული სიტუაცია ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ მეთორმეტე კლასში თითქმის არცერთი დღე არ გაგვიცდენია, რამაც ასევე იმოქმედა ჩვენს განათლებაზე. გარდა ამისა, სკოლამ სპეციალურად გამოყო საათები აბიტურიენტებისთვის დამატებით საგნებში მოსამზადებლად, ინდივიდუალირად შეირჩა საგნები, რომლითაც უნივერსიტეტში ვაბარებთ“.

– რა არის ახალი თაობის პლუსმინუსები, რა დადებით და უარყოფით მხარეებს ხედავთ?

ლიზი თეთრაული: „ახალი თაობა საკმაოდ ნიჭიერი და მოტივირებულია. ვფიქრობთ მუდმივად განვითარებაზე და ვართ პროგრესულად მოაზროვნე. თუმცა, უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი შესაძლებლობები ბოლომდე გამოვიყენოთ, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის“.

ლაშა ლეკაშვილი: „დღევანდელ თაობას აქვს, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი პოტენციალი იმისა, რომ ჩვენი სამშობლო ახალ საფეხურზე აიყვანოს. ახალგაზრდების დადებითი თვისება დღესდღეობით არის ერთმანეთის ურთიერთგაგება, კომუნიკაბელურობა და პატიების უნარი. ჩემს გარშემო მყოფ ახალგაზრდებს რომ ვუყურებ, უკეთესი მომავლის იმედი მეძლევა. რაც შეეხება უარყოფით თვისებებს. მე პირადად ვფიქრობ, რომ ეს არის ძველი ტრადიციების უპატივცემულობა, რაც ბევრი შრომით, ვფიქრობ, რომ გამოსწორდება და დააფასებს ჩვენი თაობა იმ ტრადიციებს, რისი წყალობითაც აქამდე მოაღწია ჩვენმა სამშობლომ. საბოლოო ჯამში, საკმაოდ განათლებული და პერსპექტიული თაობა მოდის.

ვალერი ვარდიშვილი: „ვფიქრობ, რომ ჩემი თაობა ბევრად აქტიური და ლაღია, მეტად ენერგიულია და რაც მთავარია, ყველაფერს სხვა თვალით ხედავს, განსხვავებით წინა თაობისგან, რომელიც შეცვლაზე უარს ამბობს. იმედი მაქვს, ჩვენ ეს სილაღე სიბერემდე გაგვყვება“.

ტატო ბენაშვილი: „ზოგადად, ყველა ახალ თაობას აქვს ეს პოზიტიური მხარე, რომ არის „ახალი სისხლი“ და ყველაფერზე წამსვლელი საკუთარი შეხედულებებისა და პრინციპების გამყარებაში. სხვა თაობებისგან განსხვავებით, ახალ თაობას უამრავ ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი, რაც კარგიც არის და ცუდიც. ეს ფაქტი განაპირობებს, რომ ხშირად ამ თაობის წარმომადგენლები არასწორ ინფორმაციასა და ხალხს მიჰყვებიან, ასეთი ქცევა ნამდვილად არ გამოადგება არც სახელმწიფოს, არც ჩვენ. მჯერა, რომ ახალი თაობა მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს ქვეყანაში და გამოასწორებს უფროსებისგან დატოვებულ არეულ რეალობას“.

– არის თუ არა სხვაობა დედაქალაქი-

ვალერი ვარდიშვილი

სა და სოფლების სკოლებს შორის?

ლიზი თეთრაული: „ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის დიდი განსხვავებაა. სოფელში განსხვავებული ატმოსფეროა და უკეთესი დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. ასევე მოსწავლეთა მცირე რაოდენობა, რაც, ჩემი აზრით, უშუალოდ აისახება განათლების ხარისხზე.“

ლაშა ლეკაშვილი: „სხვათაშორის, ეს ძალიან კარგი კითხვაა, რადგან მე ქალაქის სკოლაში დავდიოდი რამდენიმე წელი, ახლა კი სოფლის სკოლაში და გამოცდილება მაქვს, როგორი სწავლა და როგორი მასწავლებლებია ორივე ადგილას. პირადი გამოცდილებიდან მინდა გითხრათ, რომ სწავლა თუ სურს მოსწავლეს, ყველგან ისწავლის, რა თქმა უნდა, მცირე განსხვავებები არის ქალაქისა და სოფლის სკოლებში, მაგრამ იმდენი არაფერი რომ ერთი მეორეს სჯობდეს. არაფერი არ აკლია სოფლების სკოლებს, უბრალოდ, ქალაქში უფრო მეტი ბავშვი, მეტი პროექტები და მეტი ადამიანია, რაც შესაბამისად მეტ შესაძლებლობას გვაძლევს, რომ განვვითარდეთ. მაგრამ სოფელშიც არის ეს ყველაფერი შესაძლებელი იგივე შრომით და მონდომობით, თუ მიისწრაფვი წარმატებისკენ“.

ვალერი ვარდიშვილი: „სოფლის სკოლების პლუსი ის არის, რომ კლასებში 10-15 ბავშვია. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები ყოველდღიურად და აქტიურად იყვნენ ჩართული გაკვეთილის დროს. ეს, ალბათ, შედარებით ნაკლებად ხერხდება ქალაქის მრავალრიცხოვან კლასებში.

– როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი 20 წლის შემდეგ, ხედავთ თუ არა განვითარების შესაძლებლობას ჩვენივე ქვეყანაში?

ლიზი თეთრაული: „ჩემი მომავალი პროფესია დიდ შრომას მოითხოვს. ვფიქრობ, 20 წლის შემდეგ უკვე შემდგარი ექიმი ვიქნები და უშუალო შეხება მექნება ჩემს საყვარელ სფეროსთან. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში განვითარება საკმაოდ რთულია და ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში განათლება სათანადოდ დაფასდება.

ლაშა ლეკაშვილი: „საკმაოდ რთული კითხვაა. მომავალი ძალიან რთულად გამოსაცნობია. მაგრამ, იმედია, რომ მომავალ წლებში გავხდები ისეთი პიროვნება, რომ ჩემი სამშობლო და ოჯახი ვასახელო და ქვეყანას გამოვადგე. მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია საქართველოში, რადგან ძალიან კარგი პირობები გვაქვს და მართლა მწამს ,თუ რამე გულით გინდა და იშრომებ ,ყველაფერს მიაღწევ და ერთადერთი ლიმიტი ისევ ჩვენი თავია“.

ვალერი ვარდიშვილი: „20 წელი საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ განვსაზღვრო სად ვიქნები, ან რა ვითარებაში, მაგრამ უკეთესისთვის ძალას ნამდვილად არ დავიშურებ. რაც შეეხება ქვეყანას, ვფიქრობ, ჩემი თაობის ახალგაზრდებიც იგივეს ფიქრობენ და ყველა უკეთესი მომავლისათვის იშრომებს.

– თუ გყავთ გამორჩეული პედაგოგი, რომელთაც თქვენს ცხოვრებაში კვალი დატოვეს?

ლიზი თეთრაული: „ჩემი სკოლის თითოეულმა პედაგოგმა უდიდესი როლი ითამაშა ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში. თითოეული მათგანი ბოლომდე იხარჯებოდა საგაკვეთილო პროცესის დროს, რათა თავიანთი სათქმელი ბოლომდე მოეტანათ ჩვენთვის. ყოველი მათგანი თავის მხრივ განსაკუთრებული და გამორჩეულია, მათი ღვაწლი კი დასაფასებელი.

ტატო ბენაშვილი

ვალერი ვარდიშვილი: „ალბათ ჩემს დამრიგებელს, ვინც იმ ადამიანად მაქცია, ვინც ახლა ვარ. იგი საჭიროდროს მშობელი იყო და ასევე საჭირო დროს ახლო მეგობარიც, ვისთვისაც ყველანაირი ამბის გამხელა ძალიან მარტივი არის“.

ტატო ბენაშვილი: „ჩვენს სკოლაში ყველა პედაგოგი გამორჩეულია ჩემთვის. ყველა მათგანმა ჩემს ადამიანად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა და მასწავლა არა მარტო საგანი, არამედ, როგორ ვიცხოვრო და რა წვლილი შევიტანო ამ ქვეყნის განვითარებაში. რომ არა ეს სკოლა და ჩემი მასწავლებლები, ბევრად უკან ვიქნებოდი და, შესაძლოა, ცხოვრებაში მიზანიც კი არ მქონოდა.

ესაუბრა
ილია მარტყოფლიშვილი

მარინა ცხვედიაშვილის პოეზიის საღამოზე

13 ივნისს, საქართველოს მწერალთა სახლში მარინა ცხვედიაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა , სადაც ქართული სიტყვის ნამდვილი ზეიმი შედგა . დარბაზი ვერც ხალხს იტევდა და ვერც ოვაციებს...

ქალბატონი მარინეს ერთი ლექსი ნიკო ფიროსმანაშვილთან მის პოეტურ გასაუბრებას წარმოადგენს, სადაც ისეთი ალალი და გულწრფელი საუბარია, რომ შეიძლება ცრემლიც კი მოგადგეთ თვალზე. ამ ლექსში ფიროსმანის ნახატებისთვის დამახასიათებელი სულისკვეთება სიტყვაში არის გაცხადებული და სწორედ სიტყვა გადმოგვცემს იმ სიდიადეს, რომელიც თავის დროზე ყველასგან უარყოფილ, მაგრამ ახლა ასევე ყველასგან საყვარელ და გენიალურ მხატვართან არის დაკავშირებული .

ძნელია ფიროსმანის ტილოების მომხიბვლელობა სიტყვაში გააცოცხლო და პოეტურად აამეტყველო, მაგრამ შეუძლებელი რომ არ არის, ამაში ქალბატონმა მარინა ცხვედიაშვილმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა.

განსაკუთრებულია ლექსი, რომელიც არდაბადებულ შვილს ეძღვნება, სადაც ქალის, როგორც პოტენციური დედის შინაგანი ხმა და სულის ძახილი არის ამეტყველებული. ეს არამარტო ლექსია, არამედ საოცარი მონატრებაა იმ დედა-შვილობისა, რაზეც მთელი ჩვენი კაცობრიობა დგას .

შემოქმედებით საღამოს ამშვენებდა ქალბატონ მარინას მეუღლის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მხატვარის - ჯემალ კუხალაშვილის ნახატების გამოფენა, სადაც ერთ-ერთი ტილო სწორედ მარინე ცხვედიაშვილის პორტრეტს წარმოადგენს .

პოეტი მარინა ცხვედიაშვილი, მართალი ხმის, მაღალი გულისხმიერებისა და ძალიან კარგი შემოქმედებითი აზროვნების მქონე ხელოვანია.

„ქალბატონი მარინას პოეზია არის დახვეწილი, გემოვნებიანი, კეთილშობილური, დიდებული და ნამდვილი. მისი შთაგონების წყარო მშვენიერებაა. ცნება "ლექსის" განმარტებისთვის, თუ რა არის "ლექსი", თუ რა არის "პოეზია", თავისუფლად შეგვიძლია გამოვიყენოთ "მარინას ლექსი". მარინა ცხვედიაშვილის ლექსები არის ნამდვილი პოეზია“-ამბობს მხატვარი თამარ ლამპარაძე.

სამუხის ველზე ლიკლიკების მეცხრე თაობა დაიბადა

სამუხის ველზე ლიკლიკები დაიბადნენ. ეს უკვე საქართველოში დაბადებული ქურციკების მეცხრე თაობაა! ისინი თავს კარგად გრძნობენ. მათი უმეტესობა ჯერ კიდევ ბალახებში წოლას და დამალვას ამჯობინებს. მაკე ქურციკების სიმრავლე კი მიუთითებს, რომ უახლოეს მომავალში შევძლებთ კიდევ უფრო მეტი ლიკლიკა ვიხილოთ აღნიშნულ ტერიტორიაზე.

საქართველოში ქურციკების აღდგენის პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს, რასაც ახალი თაობის სახით ყოველწლიური მატება და ქურციკების მზარდი პოპულაცია ადასტურებს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის დაცული ტერიტორიის დაარსება (2023) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში ქურციკების პოპულაციის აღდგენისა და დაცვის მიმართულებით.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF) გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში გადაშენებული ქურციკების აღდგენის პროგრამას აზერბაიჯანისა და საქართველოს მთავრობებთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებს. პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს გერმანიის მთავრობა (BMZ/KfW) და WWF-გერმანია.

ჭიდაობის ტურნირი ზემო ქედში

ჭიდაობის ფედერაციის ორგანიზებით სოფელ ზემო ქედში გაიმართა ტურნირი, სადაც სხვადასხვა ქალაქების სპორტსმენები ასპარეზობდნენ. ტრადიციულად წარმატებული გამოდგა ადგილობრივი მოზარდების გამოსვლები. ტურნირი თამაზ ლაზვიაშვილის სახელს ატარებს.

დედოფლისწყაროს გუნდის სპორტსმენებმა 4 პირველი, 2 მეორე და სამიც მესამე ადგილი

დაიკავეს. ტურნირის ჩემპიონები კი გახდნენ: ლუკა ლაზვიაშვილი, ნიკა მუშტარაული, ვანო წიკლაური და ნიკა პავლიაშვილი.

ნიკა პავლიაშვილი: „ჩემთვის ეს პირველი მედალი და გამარჯვებაა, ამიტომ უფრო მეტი სტიმული მექნება, რომ უკეთესად ვივარჯიშო. სამი წელია რაც ჭდაობაზე დავდივარ, სპორტი ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა, მიმზიდველი სახეობაა და ამიტომ დავინტერესდი. ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე და ოლიმპიური თამაშების მოგებაზე ვვოცნებობ.“

ლუკა ლაზვიაშვილი: „ფინალში შევხვდი თბილისელ ლუკა ცხოვრებაშვილი, რომელიც საკმაოდ ძლიერი მეტოქე იყო. თუმცა უპირატესობის მიუხედავად სუფთად მოვუგე. კისრიდან მოგვერდი გამოვიყენე და ქულები დავიმსახურე. 6 წელია ჭიდაობაზე დავდივარ. მამაჩემი, პაპაჩემი და ჩემი წინა თაობა მოჭიდავეები იყვნენ, ამიტომ მინდოდა მეც მეჭიდავა და წარმატებას მიმეღწია. ვვოცნებობ ოლიმპიადასა და მსოფლიო ჩემპიონობაზე.

„შენც...?!“ – წყენის განცდა

„ეზრუნავთ რა სხვა ადამიანზე,
რატომღაც გულუბრყვილოდ ვიმრდოვნებთ,
რომ იგივეს უნდა ველოდეთ მისგან“.

ჩარლზ დიკენსი, „დიდი იმედები“.

ადამიანისათვის დამახასიათებელ განცდათა მრავალფეროვნებაში წყენის განცდას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც შინაგანი მექანიზმის განვითარების, ისე საურთიერთო ორიენტაციის უნიკალურობის თვალსაზრისით. წყენა ერთ შემთხვევაში ცუდი გუნება-განწყობილების შედეგია, მეორე შემთხვევაში-თვითონ არის ადამიანის ცუდი გუნება-განწყობილების წყარო, მესამეში კი-როგორც ნაწყენი პიროვნების, ისე მის ახლობელ-მეგობართა მტანჯველი სულიერი დაძაბულობის მიზეზი ხდება. თითოეული ჩვენთაგანი ცხოვრებაში ბევრჯერ განაწყენებულა და არანაკლებ ბევრჯერ ვატკინეთ გული იმათ, ვინც ხშირად არ იმსახურებდა ჩვენგან ასეთ დამიკიდებულებას.

თუ ჩვენთვის კარგად ნაცნობი შიშის განცდა ცხოველთა და ადამიანთა სამყაროს საერთო მახასიათებელია, წყენის განცდა წმინდა ადამიანურ თვისრებად უნდა ჩაითვალოს (თუმცა ზოგიერთი მეცნიერი მიუთითებს ცხოველის, მაგ; ცხენის ან ძაღლის მხრიდან წყენისმაგვარი განცდის გამოვლინების მომენტებზე). პიროვნებაში წყენის განცდის აღმოცენებისათვის აუცილებელია:

1. ადამიანის (ადამიანების) მიმართ ნდობის დამოკიდებულება; 2. მისგან (მათგან) სიყვარულის ან სითბოს მოლოდინი. 3. პიროვნების ცხოვრებაში სუბიექტურად ჩამოყალიბებული სისტემა ორ ადამიანს (ადამიანებს) შორის „სამართლიანი“ ურთიერთობის შესახებ (ჩვენი ურთიერთობა... უნდა იყოს) ასეთი ინდივიდუალური პოზიციის განსაზღვრის შემდეგ ადამიანი გაიაზრებს ან ქვეცნობიერად მოელის) ხოლმე მეორე ადამიანის მხრიდან ადექვატურ დამოკიდებულებათა სისტემას, ანდა მიიჩნევს, რომ მის მეგობართა წრე ფართოა (სასურველის რეალურად მიჩნევა!). ამ ორ მომენტზე ბევრად არის დამოკიდებული იმ სიტუაციების დიაპაზონი, რომლებიც მოგვიანებით წყენის საფუძვლად გვევლინებიან. მაგ; წარმოვიდგინოთ პიროვნება, რომელიც სხვა ადამიანების მიმართ ყოველთვის გულისხმიერებით გამოირჩევა. თუ მას მიაჩნია, რომ სხვებისადმი ყურადღების ასეთი აქტიური და დადებითი გამოხატულება საერთოსავალდებულო ნორმა უნდა იყოს, მაშინ, რა თქმა უნდა, ის სხვებიდანაც იგივეს მოელის. მეორე ადამიანი კი, მისგან განსხვავებით, ასეთ ხასიათის საურთიერთო ნორმას სრულიად არა თვლის სავალდებულოდ და მიაჩნია, რომ ოჯახის წევრებისგან თუ უახლოესი მეგობრებისაგანაც კი არ უნდა მოელოდე მაინცდამაინც დადებითი შინაარსის ყურადღებას. ზემოთ დასახელებული ორივე პიროვნებიდან, ცხადია, პირველს ბევრად უფრო მეტი შანსი აქვს, რომ საურთიერთო სიტუაციებიდან ნაწყენი და გულმოკლული დარჩეს, ვიდრე მეორე პიროვნებას.

აქ შეიძლება კითხვა დაიბადოს: წყენის განცდა მხოლოდ გულისხმიერ და კეთილ ადამიანებს თუ ახასიათებს? ცხადია, არა მხოლოდ მათ! ჩემი წყენის განცდა ერთ შემთხვევაში შესაძლოა ჩემი მცდარი წარმოდგენის შედეგი იყოს, მეორეში-იმ ადამიანისა, ვისგანაც მეწყინა, ან კიდევ ორივესი ერთად, საბოლოო შედეგს (წყენას) სწორედ შეცდომა უფრო განაპირობებს, ვიდრე ვთქვათ სიკეთის ან გულისხმიერების დეფიციტი. შეცდომის არსი ჩვენს მცდარ წამოდგენასა და მოლოდინში მდგომარეობს: ყველა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ნაცნობ-მეგობრები მაინც) „მოვალეა“ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესებით ცხოვრობდეს, ჩვენი პრობლემები მათთვისაც აქტუალური უნდა იყოს და მისთ. ბუნებრივია, რომ რაც უფრო მეტია მოლოდინი, მით მეტი იქნება ამ მოლოდინის აუსრულებლობით გამოწვეული წყენის განცდა. ეს კი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ნაწყენი ადამიანი თვითონ აუცილებლად გულისხმიერებით ან სიკეთით ხასიათდება ცხოვრებისეულ ურთიერთობებში.

წყენის განცდა იმდენი ხასიათისაა, რამდენი ადამიანიც ცხოვრობს ამ ცოდვილ დედამიწაზე. ყოველი ჩვენთაგანი კარგად გრძნობს საკუთარი სულის მტკივნეულ წერტილებს, დარწმუნებული ვართ, რომ სიმართლე აუცილებლად ჩვენს მხარეზეა, და არა იმის მხარეზე, ვინც ნებით თუ უნებლიედ გვაწყენინა (რაც მეტია ჩვენი „სიმართლე“, მით „უსამართლო“ ჩანს მოპირდაპირე მხარე). ამიტომ წყენის განცდაზე მსჯელობისას უკეთესი იქნება, თუ ამ პროცესის განვითარებას უფრო განზოგადებული სქემით გავიაზრებთ და ამასთანავე ჩვენს საკუთარ (პიროვნულ) გრძნობიერ სამყაროს არ გამოვიყენებთ საჯილდაო ქვად ჭეშმარიტების განსაზღვრისათვის.

წყენა, უპირველეს ყოვლისა, სულიერი ტკივილის განცდაა. რომელი ობიექტი იწვევს აღნიშნულ სულიერ ტკივილს? შეუძლებელია რაიმე გვეწყინოს უსულო სხეულის, ან ბუნების მოვლენებისაგან, რაც არ უნდა დიდი უსიამოვნება მოგვეცეს. იშვიათია, რომ რაიმე გვეწყინოს ჩვენი მოსისხლე მტრისაგან, რადგან მისგან ისედაც მხოლოდ უსიამოვნებას მოველით, წყენის განცდა გვეუფლება უპირატესად მახლობელი ადამიანის მიმართ (ადამიანებს შორის ეს სიახლოვე შეიძლება იყოს როგორც განცხადებული, ისე-მხოლოდ ინტუიტიური). სხვანაირად რომ ითქვას, წყენა შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ ურთიერთობის დროს, როდესაც ამ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს შორის (ან ერთ-ერთის მხრიდან) არსებობს გარკვეული არაფორმალური ურთიერთგულისხმიერებისა და ურთიერთმოვალეობის განცდა. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეორე ადამიანის შესაძლებლობების ცოდნაც, ხშირად ჩვენ შეიძლება ისეთ რაიმეს ველით მისგან, რის აღსრულებაც მას საკუთარ შესაძლებლობის ან ობიექტური პირობების გამო უბრალოდ არ შეუძლია.

მრისხანების, სიბრალულის, სიძულვილის ან სიყვარულის განცდა შესაძლოა სრულიად უცნობი ადამიანის მიმართაც გაგვიჩნდეს, მაგრამ ეს დამოკიდებულია როგორც მის ქცევაზე, ჟესტზე ან სიტყვაზე, ისე ჩვენს გუნება-განწყობაზე. წყენის განცდის აღმოცენებას სულ სხვ მდგომარეობა სჭირდება. მტრისაგან არაფერი გვეწყინება, რადგან მის მიმართ უკვე გვაქვს განცდა - სიძულვილი, სუსტი არსებისადმი წყენით კი არა, სიბრალულით ხან კიდე მისი უსუსურობით გამოწვეული გულმოსულობით ვართ განწყობილები. წყენის განცდის აღმოცენება რომელიმე ადამიანის სახით მყარ „სამიზნეს“ ითხოვს, რადგან წყენის განცდის მექანიზმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენივე შეგრძნებას, რომ წყენის ჩემეული განცდა გასაგები გახდება ადამიანებისათვის, რომელმაც გვაწყენინა და ვიმედოვნებთ, რომ ეს ცნობა მასში აუცილებლად გამოიწვევს უხერხულობას, ჩადენილი დანაშაულის ან სინდისის ამბოხების მდგომარეობას. თუ მრისხანება უმეტესად სხვა ადამიანის დასჯის გარეგნულ ფორმებზეა ორიენტირებული (ფიზიკური შეურაცხყოფა, ლანძღვა და მისთ). ჩვენში აღძრული წყენის განცდა „დამნაშავის“ დასჯის შინაგან, ღრმად პიროვნულ ფორმებს ეძიებს. ნაწილობრივ ამითაც არის გამოწვეული, რომ ბუნების მოვლენებისაგან ან მტრისაგან არაფერი გვეწყინება, რადგან მათ ვერ აღვუძრავთ ჩვენდამი ჩადენილი დანაშაულის შეგრძნებას.

ამრიგად, წყენა, ერთდროულად სულიერი ტკივილიც არის და ამ ტკივილის განცდის განეიტრალებისათვის მიმართული პროტესტიც, აგრეთვე იმის სურვილი, რომ დაკონკრეტდეს „დამნაშავე“ და განეცხადოს მას ჩვენი წყენა რათა მისი უხერხულობის განცდის დანახვაზე ჩვენი ეგოისტური პატივმოყვარეობა დაკმაყოფილდეს.

რა იწვევს წყენას ჩვენს ურთიერთობაში? თითოეულმა ჩვენთაგანმა კარგად იცის, რომ წყენის განცდას იწვევს სხვა ადამიანის ქცევით ან სიტყვით ჩვენში აღძრული მძიმე სულიერი მდგომარეობა. მართლაც, თუ ჩვენი მეგობარი თავისდაუნებურად რაიმე მატერიალურ ზარალს მოგვაყენებს, ეს ჩვენში უმეტესად მხოლოდ გაღიზიანებას გამოიწვევს და ყველაფერი შეიძლება მისი საქციელის უბრალო გაკიცხვით ან დატუქსვით დამთავრდეს. მაგრამ თუ შევნიშნეთ, რომ მეგობარს ჩვენი არ ესმის, ან კიდევ უფრო უარესი: ეჭვი ეპარება ჩვენს დამოკიდებულებაში, ან არ გვაფასებს ისე, როგორც ჩვენ გვინდა, რომ გვაფასებდეს - ასეთ სიტუაციაში ჩვენს ცნობიერებაში აუცილებლად აღმოცენდება წყენის თავისი ხასიათით მეტად მტკივნეული და ტრაგიკული განცდა. ზოგჯერ ასეთ განცდას აღშფოთების ან გაბოროტების ელფერი ადევს, მაგრამ ეს უკვე ნაწყენი ადამიანის ხასიათის თავისებურებაზე არის დამოკიდებული და არა წყენის შინაარსზე ან მეორე ადამიანის „უარყოფი“ თვისებებზე. გაბოროტების მიზეზი უფრო იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ თითოეულ ჩვენთაგანს საკუთარი (გაუცნობიერებელი, ან უფრო იშვიათად-გაცნობიერებული) დამოკიდებულება გვაქვს საკუთარ პიროვნულ მოთხოვნილებებთან და სურვილებთან. ზოგიერთი ჩვენთაგანი თვლის, რომ სხვებთან შედარებით უფრო მეტ სითბოსა და თანაგრძნობას ვიმსახურებთ. ამ მომენტში ჩვენი გონების ულმობელი ლოგიკური არგუმენტაცია ჩვენსავე რწმენას სათანადოდ ვერ განამტკიცებს (ზოგჯერ ჩვენი რწმენის საწინააღმდეგო სურათსაც გვიხატავს), მაგრამ ჩვენი არსებობის ძირითადი მამოძრავებელი ფენომენი-ჩვენი სუბიექტური სურვილი მაინც თავისას ითხოვს. სწორედ, ასეთი სულიერი გაორების შედეგია ზემოთხსენებული გაბოროტების განცდა, რომელიც პიროვნების სერიოზული და ობიექტური თვითანალიზის უუნარობის შემთხვევაში აუცილებლად ქრონიკულ ხასიათს მიიღებს და გარკვეული ხნის შემდეგ ბოროტება უკვე ჩვენი ხასიათის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ელემენტად გადაიქცევა.

გესიკ გიგოლაშვილი,
ფსიქოლოგი

საცხოვრებელი ხელფასი საქართველოში

რას ნიშნავს საცხოვრებელი ხელფასი?

საცხოვრებელი ხელფასი არის ხელფასის ის ოდენობა, რომელიც ფარავს მშრომელთა ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელ და ძირითად საჭიროებებს. საცხოვრებელი ხელფასი უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ საბაზისო ხარჯებს, როგორიცაა კვება, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, განათლება, ჯანდაცვა, ტრანსპორტირება და სხვა მნიშვნელოვანი საჭიროებები. საცხოვრებელი ხელფასი ასევე უნდა ფარავდეს გაუთვალისწინებელ ხარჯებს და რაც მთავარია, მისი გამომუშავებისათვის მშრომელებს არ უნდა სჭირდებოდეთ ზეგანაკვეთური შრომა — საცხოვრებელი ხელფასის მიღება შესაძლებელი უნდა იყოს ერთ სამუშაოზე დასაქმების შემთხვევაშიც.

საცხოვრებელი ხელფასი განსხვავდება „საარსებო ხელფასისგან“. საარსებო ხელფასი წარმოადგენს მინიმალურ ანაზღაურებას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს მშრომელის ღირსეულ ცხოვრებას და ის მხოლოდ საარსებოდ აუცილებელ ხარჯებს ფარავს. საცხოვრებელი ხელფასი მინიმალური ხელფასისგანაც უნდა განვასხვავოთ. ეს უკანასკნელი არის კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ანაზღაურება, რომელიც დამსაქმებლებს შეუძლიათ კანონიერად გადაუხადონ თანამშრომლებს. განსხვავების მიუხედავად, მინიმალური ხელფასი პრაქტიკაში შესაძლოა დამოკიდებული იყოს საცხოვრებელი ხელფასზე ან/და მათი ოდენობა ემთხვეოდეს. საცხოვრებელი ხელფასი უნდა ფარავდეს: კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელს, განათლებას, ჯანდაცვას, ტრანსპორტირებას, სხვა საჭიროებებს, მოულოდნელ ხარჯებს. რამდენი უნდა იყოს საცხოვრებელი ხელფასი საქართველოში? 1,770 ყოველთვიურად (გამოთვლილი, 2022 წლის ოქტომბერში, Wage Indicator Foundation-ის მიერ.)

რატომ არის მნიშვნელოვანი საცხოვრებელი ხელფასის გადახდა?

დასაქმებულებისთვის საცხოვრებელი ხელფასის გადახდის მრავალი მიზეზი არსებობს, თუმცა, მათ შორის მთავარი საკუთარი შრომით მიღებულ შემოსავალსა და ღირსების დაცვასთან ურთიერთკავშირია. მშრომელები, რომლებიც თავის დროსა და ენერგიას დამსაქმებელს ახმარენ, უფლება აქვთ მიიღონ საკმარისი და ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი ანაზღაურება. ისეთ საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც მშრომელები ქრონიკულად დაბალ ანაზღაურებას იღებენ და ვერ ახერხებენ გაჭირვებიდან თავის დაღწევას, სასტიკი, გაუსაძლისი და გრძელვადიან პერსპექტივაში არამდგრადია. დამსაქმებლები, რომლებიც იხდიან საცხოვრებელ ხელფასს, ხელს უწყობენ საქართველოში თანასწორი, სამართლიანი და სტაბილური საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

საცხოვრებელი ხელფასის გადახდას აქვს კომპანიებისთვის უზარმაზარი ეკონომიკური სარგებლის პოტენციალი. სინამდვილეში, საცხოვრებელი ხელფასის გადახდა წარმოადგენს ერთ-ერთი ყველაზე ჯანსაღ ინვესტიციას, რომლის განხორციელებაც ბიზნესს შეუძლია.

უპირველესად, მშრომელების უკეთესი ხელფასი ნიშნავს, რომ მათ მეტი ფული აქვთ დასახარჯად, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის ზრდას. ამასთან, კომპანიები ხშირად ჩივიან, რომ ვერ პოულობენ ან ინარჩუნებენ კარგ კადრებს. საცხოვრებელი ხელფასი კი, თავის მხრივ ეხმარება ამ პრობლემის მოგვარებას. უკეთესი ხელფასი ზრდის თანამშრომელთა კეთილდღეობასა და ჯანმრთელობას, ზრდის მათ ერთგულებას და კარგი კადრებიც ნაკლებად გადიან პროფესიიდან. მშრომელები, რომლებიც უფრო დიდხანს რჩებიან სამსახურში, როგორც წესი, უკეთესად ასრულებენ მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გააუმჯობესოს პროდუქტიულობა. და ბოლოს, საცხოვრებელი ხელფასის გადახდამ შეიძლება გააუმჯობესოს კომპანიის რეპუტაციაც. საცხოვრებელი ხელფასის გადახდით კომპანიას შეუძლია აჩვენოს მომხმარებლებს, რომ ბიზნესის კეთებასთან ერთად ის საზოგადოების კეთილდღეობაზეც ზრუნავს.



რამდენია რეალური ხელფასი საქართველოში?

სამწუხაროდ, საქართველოში არსებული ხელფასები ამჟამად საცხოვრებელ ხელფასზე გაცილებით დაბალია. კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური ხელფასი თვეში 20 ლარია და 1999 წლის შემდეგ არ განახლებულა.

სახელმწიფოს მონაცემების თანახმად, მედიანური ხელფასი- თანხა, რომელიც მშრომელებს ორ თანაბარ ჯგუფად ყოფს — 2021 წლისთვის თვეში 900 ლარი იყო. ეს ნიშნავს, რომ დასაქმებულთა 50% ამ თანხაზე ნაკლებს იღებს. საშუალო ხელფასიც კი 2021 წელს, თვეში მხოლოდ 1305 ლარი იყო, რაც საცხოვრებელ ხელფასზე გაცილებით დაბალია.

როგორ ვაქციოთ საცხოვრებელი ხელფასი რეალობად? ამაზე სწრაფი და მარტივი პასუხი არ არსებობს. ჩვენთვის სასურველ გარემოში ცხოვრება,დროს, მცდელობებს და შემოქმედებით მიდგომებს საჭიროებს. თუმცა, არსებობს კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც თქვენ შეგიძლიათ გადადგათ უკეთესი სახელფასო პოლიტიკის შექმნის პროცესში;

1. შენი ხელფასის გაუმჯობესების საუკეთესო გზაა, სხვა მშრომელ ადამიანებთან პროფკავშირში გაერთიანება, რომ, როგორც გუნდმა, ერთად იმუშაოთ საერთო საქმისთვის,მოლაპარაკების ძალის გასაძლიერებლად, უკეთესი ხელფასისა და სამუშაო პირობების დასანერგად.

2. არჩევნებში მონაწილეობასა და სწორი არჩევანის გაკეთებას, დიდი მნიშვნელობა აქვს. ხმა იმათ მიეცით, ვინც შრომითი უფლებების დაცვასა და უკეთეს სახელფასო პოლიტიკას პრიორიტეტად მიიჩნევს.

3. ყველა ბიზნესი, თანასწორად არ ეპყრობა დასაქმებულებს. მხარი დაუჭირე მათ, ვინც სამართლიან ანაზღაურებას უხდის თანამშრომლებს. ჩვენი აქტიურობით, შეგვიძლია გავლენა ვიქონიოთ მათ საქმიანობაზე.

და ბოლოს, ყველა რიცხვსა და მონაცემზე მაღლა დგას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და მისი №25 მუხლი: „ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თავად მისი და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის“.

რატომ ვრეაგირებთ ამინდზე

ის ფაქტი, რომ ამინდი მოქმედებს ადამიანზე, უდავოა. ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც გრძნობენ ამინდის ცვლილებას, მუდმივად იზრდება.

წელს გაზაფხულიც და ზაფხულიც უჩვეულოდ გრილი იყო. ამინდი ივნისშიც ხშირად იცვლება. ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ამინდის ცვლილება მათ ჯანმრთელობაზე მოქმედებს. ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც გრძნობენ ამინდის ცვლილებას, მუდმივად იზრდება. ამინდის ცვლილებასა და ჯანმრთელობას შორის ურთიერთობა ძველ დროში შენიშნეს. ბერძნული აესკულაპიუსი თავის ნაწერებში დეტალურად აღწერს, თუ როგორ ახდენს ამინდი გავლენას ადამიანზე. რა თქმა უნდა, ჩვენს დროში, მეცნიერებმა გაცილებით მეტი იციან ამ ეფექტის შესახებ.

„უამინდობა“ პირობითი ცნებაა და დარის საპირისპიროდ ავდრის აღსანიშნავად არის შემოღებული, თორემ უამინდობა არ არსებობს. ყოველი დღე თავისებური ატმოსფერულ-კლიმატური მაჩვენებლებითა და ჰიდრომეტეოპათიური ეფექტებით გამოირჩევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი დღე თავისებურად გამორჩეული ამინდია, განსხვავებული იმისდა მიხედვით, როგორია იმ დღეს ატმოსფერული ჰაერის ცირკულაციის ხარისხი, ტემპერატურული მაჩვენებელი, გეომაგნიტური ველის დაძაბულობისა და ნალექთა გადანაწილების დონე. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი თავისებურ გავლენას ახდენს უმაღლესი ნერვული ცენტრების მოქმედებასა და ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების რეგულაციაზე.

ასე, მაგალითად, ამინდის შესაბამისად იცვლება არტერიული წნევა, სუნთქვისა და პულსის სიხშირე, უჯრედთა მემბრანების განვლადობა, ენდოკრინული ანუ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციონირება, სისხლის ქიმიური შემადგენლობა - მასში შაქრის, კალციუმის, ნატრიუმის, მაგნიუმისა და ფოსფატების შემცველობა. ქიმიური შემადგენლობის ცვლილებებიდან გამომდინარე, იცვლება სისხლის თვისობრიობაც, მაგალითად, შედედებისა თუ ფიბრინოლიზის (ფერმენტული რეაქციების შედეგად ფიბრინის კოლტის გახსნის) პროცესები. აღნიშნული ბიოლოგიური მაჩვენებლები მთლიანობაში განსაზღვრავენ ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიურ კომფორტსა თუ დისკომფორტს, ამის კვალობაზე კი - განწყობასაც.

არსებობს სხვა მოსაზრებაც იმის თაობაზე, თუ რატომ რეაგირებს ამინდზე ჩვენი ორგანიზმი. მეცნიერთა აზრით, მეტეოდამოკიდებულება ორგანიზმის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანის თვითშეგრძნებაზე არსებით გავლენას ძირითადად ატმოსფერული წნევის მერყეობა ახდენს. ბუნებრივია, იბადება კითხვა, როგორ აისახება ეს გავლენა ადამიანის თვითშეგრძნებაზე. საქმე ის არის, რომ ატმოსფერული წნევის მერყეობა ძლიერ მოქმედებს უჯრედთა მემბრანაზე. ამის გამო აქტიურდება ნივთიერებათა ცვლის ზოგიერთი პროდუქტი, განსაკუთრებით - ჰომოტოქსინები. ყოველივე ეს ორგანიზმში სერიოზულ ძვრებს იწვევს და, საბოლოოდ, დიდ დისკომფორტს უქმნის ადამიანს. შეიძლება თუ არა ამასთან ბრძოლა? შეიძლება! - მიაჩნიათ ამ თეორიის მომხრეებს. მეტეოდამოკიდებულების თერაპია, უპირველეს ყოვლისა, იმუნიტეტის განმტკიცება-გაძლიერებას და ორგანიზმიდან ტოქსინების გამოდევნას ეფუძნება. ლოგიკა მარტივია: რაც უფრო ნაკლებად არის დაბინძურებული ორგანიზმი, მით უფრო ძლიერია ის და მით უფრო ნაკლებად ემორჩილება ატმოსფერული წნევის მერყეობის გავლენას.

ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმი საუკეთესო საადაპტაციო მექანიზმებს ფლობს და ამინდის ცვლილება მასზე პრაქტიკულად არ მოქმედებს. ის დინამიკურ წონასწორობაშია გარემო პირობებთან. ამ უკანასკნელთა ცვლილება არათუ უარყოფითად არ აისახება ორგანიზმზე, პირიქით, ორგანოთა ცალკეული სისტემების გააქტიურებას და მათი ფუნქციის ერთგვარ ტრენირებასაც კი იწვევს. ამინდის ცვლილებისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ქრონიკული ავადმყოფები. ჰაერის ტემპერატურულ მაჩვენებელსა და ტენიანობის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და ძვალსახსროვანი სისტემის ფუნქციონირებისთვის. ჰაერის ამ ორი მაჩვენებლის ერთდროული ზრდა არასასურველ გავლენას ახდენს ჰუმორულ რეგულაციაზე, ადამიანს ეცვლება გულის ელექტრული აქტივობა, უქვეითდება შრომისუნარიანობა, უუარესდება თვითშეგრძნება და განწყობა. თბილი ამინდების შემდეგ მკვეთრი აცივება, მით უფრო - ქარითა და მაღალი ტენიანობით როგორც დაბალი, ასევე მაღალი ატმოსფერული წნევის პირობებში ზრდის პერიფერიულ სისხლძარღვთა ტონუსს და უარყოფითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების მქონე ადამიანებზე. აცივებისას მათ განსაკუთრებით მკაცრად უნდა დაიცვან მკურნალობის რეჟიმი და შეასრულონ ექიმის დანიშნულება. ისინი, ვისაც სასუნთქი სისტემის (ბრონქებისა და ფილტვების) და სახსრების დაავადება აქვს, უნდა ერიდონ გაციებას, მოუკლონ სეირნობას და მოძრაობით აქტიურობას.

ამინდი და განწყობილება

ქარსა და წვიმაში უმრავლესობას სევდა, უგუნებობა ეუფლება, თუმცა ეს მხოლოდ ატმოსფერული ეფექტების ვიზუალური აღქმის შედეგი როდია. მართალია, ადამიანის ორგანიზმს არ გააჩნია ელექტრომაგნიტური ველის ცვალებადობის აღმქმელი მაღალმგრძნობიარე წარმონაქმნები, მაგრამ ატმოსფეროს გეომაგნიტური ველის ცალკეულ მაჩვენებლთა მერყეობას ორგანოთა სისტემები სხვადასხვა ძვრით პასუხობენ. იცვლება ნივთიერებათა ცვლის პროცესები, ნეირონთა განმუხტვის სიხშირე, ტვინისა და გულის ბიოდენების მაჩვენებლები. ამინდი ფსიქიკური დაავადების უშუალო მიზეზი არ არის. ის დამატებითი სტრესფაქტორია, განსაკუთრებით - მათთვის, ვინც ფაქიზად რეაგირებს ამინდის ცვალებადობაზე. ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილია პირდაპირი კავშირი თბილ, მშრალ ქარსა და ფსიქიკურ დარღვევათა გამწვავებას შორის.

რა უნდა გაითვალისწინოთ

1) ტემპერატურის 8-10 °C-ით დაცემისას და უეცარი აცივებისას ხდება უჯრედებიდან ჰისტამინის განთავისუფლება და ალერგიულ რეაქციათა პროვოცირება. ასთმით დაავადებულები ამ დროს განსაკუთრებული რისკის ჯგუფს ქმნიან. მათ თბილი შენობიდან გასვლისას შესაძლოა შეტევა დაეწყოთ. ვურჩევთ, ასეთ ამინდში ნაკლები ჭამონ, მაქსიმალურად ერიდონ შემწვარ-მოხრაკულს, ცხარეს, შოკოლადს, ციტრუსებს, ალკოჰოლსა და ტკბილეულს. უარი თქვით მოწევაზე და რაც მთავარია, მოერიდეთ თამბაქოს კვამლით დაბინძურებულ გარემოში ყოფნას, შენობა, რომელშიც იმყოფებით, სველი წესით დაალაგეთ და გაანიავეთ.

2) ატმოსფერული წნევის მკვეთრი ცვალებადობისას (ადამიანის ორგანიზმისათვის კომფორტულია 750-760 მმ. ვწყ. სვ.) ანუ დღე-ღამეში 7-8 მმ. ვწყ. სვ-ით ვარდნისას მცირდება ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობა, რის გამოც განსაკუთრებული დატვირთვა ადგება სასუნთქ და გულ-სისხლძარღვთა სისტემებს. სუსტ და ავადმყოფ ადამიანებს ჟანგბადოვანი შიმშილი - სისუსტე, ქოშინი, ჰაერის უკმარისობისა და სულხუთვის შეგრძნება ეუფლებათ. ასეთ დღეებში, მით უფრო - ჰაერის ტენიანობის მომატებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ნუ გადაიტვირთებით და გადაიღლებით, შეასრულეთ სუნთქვითი ვარჯიშები, დღეში რამდენიმეჯერ მსუბუქად ივარჯიშეთ, მიირთვით უფრო მეტად კალიუმის შემცველი პროდუქტები - ბანანი, კანიანად მოხარშული კარტოფილი, გარგარის ჩირი, ჩამიჩი. იზრუნეთ სისხლძარღვების მდგომარეობაზე.

3) იცხოვრეთ ჯანსაღი წესით და გაიკაჟეთ ორგანიზმი. ამისთვის ბევრი იარეთ ფეხით, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალებას მოგცემთ, ირბინეთ, თუ არა და რეგულარულად ისეირნეთ, ყოველდღე ივარჯიშეთ (დღეში ორჯერ 10-15 წუთი საკმარისია). ზაფხულიდან შეეჩვიეთ კონტრასტულ შხაპსა და ტანის დაზელას (თუ სიცივისა არ გეშინიათ, შეგიძლიათ, ეს პროცედურები შემოდგომაზეც დაიწყოთ). ყურადღება მიაქციეთ კვების რეჟიმს და დროს ნუ დაინანებთ დასვენებისთვის.

გახსოვდეთ, ამინდზე რეაქცია სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. ეცადეთ, სულით არ დაეცეთ, ივარჯიშოთ, გაკაჟდეთ, რადგან ძლიერ ორგანიზმს უარყოფით ფაქტორთა გავლენა ვერაფერს აკლებს.

გვერდი მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

13 ივნისის ტრაგედიიდან 8 წელი გავიდა

**„მზე ისევ გაათბობს თბილისს
და აღარ იწვიმებს „ცა მეტ“,
მე რა დამავიწყებს ივნისს, მე რა დამავიწყებს ცამეტს“!**

საქართველო 2015 წლის 13 ივნისს იხსენებს. ზოგი ამ ლექსით, ზოგი ფოტოებით, ჰეშთეგებით, ზოგი კი ისტორიებით, რომლებიც თავად გადახდათ.

21 დაღუპული, ორი დაკარგული და ათასობით დაზარალებული მოქალაქე - 13 ივნისის სტიქიიდან რვა წელი გავიდა. ეს მოვლენა ისტორიაში კი ასე შევიდა- წყალდიდობა მდინარე ვერეს ხეობაში, თბილისში, 2015 წლის 13 ივნისს. სტიქიამ 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და აქედან იდენტიფიცირებულია 17 ადამიანი. ამ დღეს თითქმის მთლიანად განადგურდა თბილისის ზოოპარკი, ცხოველების დიდი ნაწილი წყალდიდობას ემსხვერპლა, გარკვეულმა ნაწილმა კი ვოლიერებს თავი დააღწია და ქალაქში გაიქცა. თბილისის ქუჩებში 5 ლომი, 6 ვეფხვი, 6 დათვი და 13 მგელი აღმოჩნდა, კამერებმა გმირთა მოედანზე ბეჰემოთი დააფიქსირეს. იგი ვეტერინარებმა დააძინეს და ისე გადაიყვანეს ვოლიერში. სტიქიური უბედურება 13 ივნისს გვიან ღამით დაიწყო და 14 ივნისის დილამდე გაგრძელდა.

მდინარე ვერეს გარდა,ადიდდა და კალაპოტიდან გადმოვიდა მდინარე მტკვარიც, მარჯვენა სანაპიროზე ჩარჩენილი ხალხის ევაკუაცია ექსტრემალურ პირობებში ჩატარდა. სამაშველო სამსახურები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ, სტიქიური უბედურების ცხელ ნერტილებში იმყოფებოდნენ პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, კახა კალაძე და დავით ნარმანია. სტიქიის ზონაში იმყოფებოდა აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ადგილზე გაეცნო არსებულ მდგომარეობას. ამასთანავე, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ თბილისის მერიას ფინანსური დახმარება გაუწია.

ტრაგედიას გამოეხმაურა ილია II, რომლის თქმით, თბილისის ზოოპარკი თავის დროზე კომუნისტების მიერ ეკლესია-მონასტრების გადამდნარი ზარების ხარჯზე დაარსდა და ის იმ ადგილას, სადაც არის, ვერ გაიხარებს.

სტიქიის შედეგად მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა დაახლოებით 50 მილიონი ლარი შეადგინა.

სტიქიურ უბედურებას შეეწირა 19 ადამიანის სიცოცხლე, დაკარგულია 6 ადამიანი და 200-ზე მეტი უსახლკაროდაა დარჩენილი. დაღუპულებს შორის იყო ზოოპარკის სამი თანამშრომელი და მაშველები.

სანახევროდ დაინგრა ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადა, რომელიც 2010 წლის შემოდგომაზე გაიხსნა და მის მშენებლობაზე, ათეულობით მილიონი ლარი დაიხარჯა. დატბორილია ნუცუბიძის პლატო. ვერეს ხეობაში მდებარე სახლები წყლის ქვეშ მოექცა. ჩამოინგრა კაზინო „ევროპას“ კედელი. ასევე, ადიდებულმა მდინარემ მთლიანად გაანადგურა ბიზნესმენ თამაზ ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი და იქ მცხოვრები ძაღლების უმეტესობა იმსხვერპლა. ასევე, თავშესაფარში ცხოვრობდნენ დათვებიც და ყველა მათგანი დაიხრჩო.

ქალაქის ცენტრში გამოქცეული ცხოველების რაღაც ნაწილის ლიკვიდაცია აუცილებელი გახდა, რადგან შეუძლებელი იყო მათი დაძინება, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ყველაზე ძლიერი დამაძინებელი წამალიც კი მინიმუმ 3-4 წუთში იწყებს მოქმედებასა და ცხოველის დაძინებას. ეს დრო კი, ვეფხვისა და ლომისათვის სრულიად საკმარისია, რომ გაანადგუროს მასთან ახლოს მყოფი ადამიანი და შეიწიროს მისი სიცოცხლე. ამან ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. სწორედ ამიტომ, ეს ყველაფერი თავად ზოოპარკის დირექტორმა, ზურაბ გურიელიძემ შეატყობინა მოსახლეობას, რომელიც აპროტესტებდა ცხოველების დახოცვის ფაქტს. მაგრამ, თავად ზურაბ გურიელიძე ამატებს, რომ ცხოველების ლიკვიდაციის ბრძანება არ ყოფილა და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, თუ მტაცებელი ვინმეს თავს ესხმოდა, ან მასზე თავდამსხმას აპირებდა.

15 ივნისის საღამოსთვის, ზოოპარკის თანამშრომლებისა და მისი დირექტორის განცხადებით, საქართველოს დედაქალაქში უკვე აღარც ერთი მტაცებელი ცხოველი არ იმყოფებოდა. ზოგი მათგანი დააძინეს და შემდეგ დააბრუნეს ზოოპარკში, ხოლო ზოგი მათგანი, ადგილზევე იქნა ლიკვიდირებული. თუმცა, გაუთვალისწინებელი შემთხვევა მაინც მოხდა-17 ივნისს, ლაგუნა ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ-ერთ საწყობში დამალულმა ვეფხვმა ოთხი თანამშრომლიდან ერთის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო დანარჩენებმა მისგან გაქცევა მოახერხეს. ორსაათიანი სპეცოპერაციის შედეგად, ვეფხვი მოკლეს.

მდინარე ვერეს ადიდების შედეგად გამოწვეული წყალდიდობა და მსხვერპლი თბილისში პირველი არ არის. პირველად არ მომხდარა არც ზოოპარკის დატბორვა. ვერე ადიდდა და ქალაქის მოსახლეობას სერიოზული პრობლემები შეუქმნა 1960 და 1963 წელს, ასევე 1972 და 1995 წლებში. განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია იყო 1972 წელს, როცა ზოოპარკი მთლიანად დაიტბორა, წყლის ნაკადმა კი საცხოვრებელი სახლები დატბორა და მანქანები მტკვარში ჩაიტანა. იყო მსხვერპლიც.

თბილისში 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაღუპულთათვის პატივის მისაგებად, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, 15 ივნისი გლოვის დღედ გამოცხადდა.

2015 წლის 16 ივნისის ტრაგედია იქცა ეროვნული ერთიანობის თარიღადაც.

სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში ათასობით ახალგაზრდა ჩაერთო. შიშველი ხელებით, ნიჩბებითა თუ ხელთათმანებით შეიარაღებულმა მოხალისეებმა დატბორილი ტერიტორიების გაწმენდა დაიწყეს.

მოხალისეთა ნაწილი სტიქიის ზონაში ფიზიკურად შრომობდა, მეორე ნაწილი კი მათ საკვებითა და წყლით ამარაგებდა. მათ რიგებს შეუერთდნენ სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, სპორტსმენები, სტუდენტები და ხელოვანები.

დაზარალებული, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დასახმარებლად რეგიონებიდან იგზავნებოდა ტანსაცმელი, საკვები და პირველადი დახმარების ნივთები.

**მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა**

თავისუფლების აღკვეთისა და თანხის გამოძალვისთვის 4 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამთაწყაროში მცხოვრები მამაკაცისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და თანხის გამოძალვის ბრალდებით დედოფლისწყაროში 4 პირი დააკავა.

როგორც შსს-ს პრესცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, 2003 წელს დაბადებული მ.ბ., 2001 წელს დაბადებული გ.მ., 1989 წელს დაბადებული მ.ს. და პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1994 წელს დაბადებული თ.ლ. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ძალადობის გამოყენებით, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით არიან დაკავებულები. ერთი დაკავებული სოფელ სამთაწყაროდანაა, სამი კი დედოფლისწყაროდან.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ფულადი სარგებლის მიღების მიზნით, 1972 წელს დაბადებული გ.ც. მისი საცხოვრებელი სახლიდან მოტყუებით გამოიყვანეს, ფიზიკურად იძალადეს და სიცოცხლის მოსპობის მუქარით თავისუფლება აღუკვეთეს. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დანაშაულის ჩამდენი პირები, მომხდარიდან მალევე დააკავეს.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სამთაწყაროში მცხოვრებმა გურამ ცეცხლაძემ მისივე მეზობლისგან ისესხა 2000 ლარი, დაკავებული პირები მისგან ამ თანხის დაბრუნებას ითხოვდნენ. დაკავებამდე ისინი სოფელ სამთაწყაროში ლუდს ერთად სვამდნენ, მათ შორის საუბარი ვალის დაბრუნებაზე ჩამოვარდა, რა დროსაც ცეცხლაძემ განმარტა, რომ კარტაზე ჰქონდა და თანხის მოსახსნელად ქალაქ დედოფლისწყაროში ამოვიდნენ. დაკავებულების ოჯახში ჰყვებიან, რომ საბანკო ბარათზე ფული არ აღმოჩნდა და ვინაიდან ღამე იყო, ცეცხლაძე სოფელში აღარ დაბრუნებულა და მათთან სახლში, ე.წ. „მიკრორაიონში“ მდებარე კორპუსში დარჩა. მეუღლეს კი შეატყობინა, რომ დედოფლისწყაროში რჩებოდა. სწორედ მისმა მეუღლემ დარეკა პოლიციაში.

დაკავებულის მხარე გამოძიების ოფიციალურ ვერსიას უარყოფს და გაზეთ „შირაქთან“ ამბობს, რომ გატაცება, ან პირის იძულებით გადაყვანა არსად მომხდარა და მამაკაცი სოფლიდან რაიონულ ცენტრში თავისივე სურვილით წამოვიდა. ისინი ასევე აზუსტებენ, რომ ამ პროცესში ცეცხლაძეს მესაზღვრეებთანაც ჰქონდა საუბარი და თავისუფლად შეეძლო მათთვის დახმარება ეთხოვა.

„შვილი ჰყავდა ავად და ამიტომ ისესხა ფული. ჩემი ძმა ეუბნებოდა, ნაწილ-ნაწილ მაინც მომეცი, მეც მაქვს ოჯახიო. ბოლო დროს სულ ატყუებდა, ხვალ მოგცემ, შემდეგ თვეში მოგცემო. ვალი რომ არ დაებრუნებინა, ბოლოს იქით იჩივლა. ჩვენ აუცილებლად ვიდავებთ და პასუხს ვაგებინებთ. თავისი ფეხით ჩაუჯდა ბიჭებს მანქანაში და დედოფლისწყაროში გამოყვა. როცა ნახეს ფული არ იყო, ხვალ დავარიცხინებო. უკვე გვიანი ღამე იყო, დაახლოებით 3 საათი, რაღას იზამდნენ, ჩემს ოჯახში დარჩა. ცოლმა არ ინერვიულოს, დავურეკავ რომ აქ ვრჩებიო და ელაპარაკა ცოლს. თუ გატაცება იყო, დარეკვის საშუალებას რატომ მისცემდნენ? მერე კი მისმა ცოლმა დარეკა 112-ში, თითქოს გაიტაცეს. ამაზე თვითონ გურამმა უთხრა ცოლს, რატომ დარეკე, არავის გავუტაცებივარო. ჩემს სახლში, დედაჩემთან ერთად ყავას სვამდა, როცა პოლიცია მოვიდა და ესაა გატაცება? გამთენიას 6 საათისკენ პოლიცია რომ მოვიდა, მხოლოდ გურამი წაიყვანეს და მეორე დღეს ბიჭები დააკავეს. თუ გატაცება და გამოძალვა იყო, მაშინვე მოეხდინათ რეაგირება. მანამდე, ვიდრე სოფელში ლუდს სვამდნენ, მესაზღვრეებმა კითხეს პრობლემა ხომ არ გაქვთო. გურამი მათთან მივიდა და უთხრა, ჩემი ახლობლები არიან, მალე წავალთო. ცხენი დავკარგეთ და ვეძებთო, ასე მოატყუა. როცა მესაზღვრეებთან მივიდა, ხომ შეეძლო, თუკი საფრთხეს გრძნობდა, მათთვის ეთქვა, გატაცებას მიპირებენო, თავისი ნებით მოქმედებდა და რა უნდა ეთქვა?“ – უთხრა „შირაქს“ დიმიტრი საკანელაშვილმა.



გურამ ცეცხლაძე

ცეცხლაძეების ოჯახში დეტალების დაკონკრეტება არ სურთ, თუმცა დავალიანების არსებობას ადასტურებენ. 112-ში ზარის ინიციატორი დალი ცეცხლაძე ამბობს, რომ მისი მეუღლე არსად გამოუკეტავთ და პირდაპირი გაგებით გატაცება არ ყოფილა.

„მათი ვალი მე ნამდვილად მაქვს, მაგრამ ვისთვის არ მიმიცია, რომ ახლა არ დამებრუნებინა? მომივარდნენ სახლში და მლანძღავდნენ. სად წამიყვანეს, ან რა მოხდა, არ მინდა ამ საკითხზე საუბარი და დეტალების გახსენება, ისედაც განერვიულებული ვარ,“ – აღნიშნავს გურამ ცეცხლაძე.

დანაშაულები 4-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტით, ასევე, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. სიღნაღის სასამართლომ ოთხოვე დაკავებულს აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. შემდეგი სასამართლო სხდომა ივლისის დასაწყისში უნდა გაიმართოს.

ილია მარტყოფლიშვილი

ანსამბლ „იალონის“ ბრიტანული არდადეგები

ანსამბლ „იალონის“ გასტროლი ინგლისში წარმატებით დასრულდა. ამ ანსამბლში ორი დედოფლისწყაროელი გოგონა მღერის, ანა ლოლაშვილი და თეონა ბენაშვილი. ქართული კულტურის ელჩებმა დიდ ბრიტანეთში ორი კვირის განმავლობაში მოიარეს ოქსფორდი, კემბრიჯი, ლონდონი და უამრავი სხვა ადგილი. მოგზაურობა შოტლანდიიდან დაიწყო, შემდეგ ლონდონის წამყვან დარბაზში გახსნეს პოპულარული ფესტივალი. მათ თავგადასავლებსა და შთაბეჭდილებებზე სასაუბროდ შევხვდით.

ანა ლოლაშვილი: „ხშირად ადამიანები იმაზე ოცნებობენ, რაც მათთვის მიუწვდომელია. მაგ:-ზოგი კარგ მანქანაზე, ზოგი უცხოეთში, ან ამერიკაში მოგზაურობაზე, ზოგიც კარგ სახლზე და უზრუნველ მომავალზე და ა.შ. მაგრამ ჩემი დიდი ოცნება ყოველთვის ტრადიციულ გოგონათა ანსამბლ „იალონში“ მოხვედრა იყო. ერთ დღესაც მოხდა ისე, რომ ჩემი ცხოვრების ყველაზე ფერადი სამყარო სწორედ „იალონი“ გახდა. ეს ის ადგილია, სადაც საკუთარი თავი შეგიძლია გამოხატო, სადაც უბრალოდ თავისუფლება იგრძნო, სადაც მოუფრთხილდე და მოუარო ყველაზე ძვირფას საგანძურს, ქართულ კულტურას, სადაც შემოქმედებითად „სივრცეში გაიჭრა“.. (როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი, ნინო იტყოდა) სადაც შენ სათქმელს ამბობ, სადაც უბრალოდ გელოდებიან.. ანსამბლს 14 წლიანი ისტორია აქვს შექმნილი და ბოლო 3 წელია მეც ამ ისტორიის ნაწილი ვარ. ანსამბლის მიზანი ქართული ტრადიციული მუსიკის პოპულარიზაციაა, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ქართული კულტურული მემკვიდრეობით, მრავალხმიანობით, უნიკალური ფოლკლორითა და ისტორიით არაერთი უცხოელია დაინტერესებული. ამ ანსამბლს ქართული ტრადიციული მუსიკის მრავალი გასვლითი ღონისძიება ჩაუტარებია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში: როგორიცაა ბელგია, ფინეთი, ჰოლანდია, უკრაინა და სხვა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ინგლისის ტური, რომელიც რამდენიმე დღის წინ დავასრულეთ, ალბათ ყველაზე გამორჩეული იყო თავისი კულტურით, ყოფით, საზოგადოებით, ისტორიით.. ჩვენს ჩასვლამდე ნიადაგი არაერთმა ეთნომუსიკოლოგმა და ანსამბლმა მოამზადა. აღსანიშნავია უდიდესი ეთნომუსიკოლოგი და პიროვნება – ედიშერ გარაყანიძე, რომლის წყალობით არაერთი ქართული ანსამბლი შეიქმნა ინგლისში: „ჩელა“, „ბუსკა“, „მასპინძელი“.. მათ ქართული მუსიკალური ფოლკლორის საკმაოდ დიდი რეპერტუარი აქვთ.

ჩვენი ტური მოიცავდა 8 ქალაქში ტრადიციული მუსიკის ვორქშოპებსა და კონცერტს. საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გვქონდა. პირველი ქალაქი ლანკასტერი იყო, სადაც მეტად გემოვნებიანი აუდიტორია დაგვხვდა. ეს ქალაქი გამორჩეულია მუსიკის ფესტივალებით. შემდეგი დაუვიწყარი დღეები ედინბურგში გავატარეთ. დედოფლის სასახლე, პარლამენტის შენობა, მდიდარი ეროვნული მუზეუმი, ედინბურგის ციხე ყველაზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა ჩემთვის. ყოველ ფეხის ნაბიჯზე შოტლანდიელ მეგუდასტვირეებს ვხვდებოდით. მოვიარეთ მანჩესტერი, ჰებდენ ბრიჯი, კემბრიჯი, ოქსფორდი, ლონდონი, ჩიფინგ ვორდენი. თითოეულმა ქალაქმა თავისი ისტორიით, კულტურითა და ადამიანებით მრავალი მოგონება დაგვიტოვა. მეტად სასიხარულოა, როდესაც ხედავ, რომ შენი სამშობლო და ჩვენი ფოლკლორი მთელი არსებით უყვართ. ასევე არ შემიძლია არ აღვნიშნო იქაური საზოგადოების განათლების დონე და ინტელექტი. მსგავსი კულტურული ერი ალბათ იშვიათია. ასევე ვისურვებდი, რომ ჩვენი ქალაქებიც ისეთივე გამწვანებული იყოს, როგორც დიდ ბრიტანეთში.

ბევრი სახუმარო თავგადასავალიც შეგვემთხვა. მაგალითად ლონდონში მეფის ცხენი გამოგვეკიდა. გადავწყვიტეთ სამახსოვრო ფოტოს გადაღება, მაგრამ იმდენად ახლოს მივედით, ცხენი დაფრთხა და ჩვენც უკანმოუხედავად მეორე მხარეს აღმოვჩნდით. ასევე დაუვიწყარი იყო ქართული სუფრის საღამო, სადაც თავად მოამზადეს ქართული ტრადიციული კერძები. ეს დღე მეტად ემოციური იყო, რადგან ერთი დიდი ფერხული შეიკრა და ჩვენ ყველას გვაერთიანებდა ქართული მუსიკა, ფოლკლორი და საქართველო.

თავისუფალი დრო ნაკლებად გვქონდა, რადგან მეტად დატვირთული გრაფიკი იყო. მაგრამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება ედინბურგმა მოახდინა.. შოტლანდიის ნაციონალურმა მუზეუმმა, ასევე შთამბეჭდავი იყო ლონდონის გალერეა, სადაც წარმოდგენილი იყო იმპრესიონისტებისა და რენესანსის მხატვრობა. კემბრიჯი და ოქსფორდი საუნივერსიტეტო ქალაქებია და ძირითადად კოლეჯები ვნახეთ. მაგალითად კემბრიჯში 32 კოლეჯი იყო.. ასევე აღსანიშნავია ოქფორდის ბიბლიოთეკა, რომელიც უმდიდრესია და სხვადასხვა მიმართულების დარბაზები ერთმანეთს გვირაბებით უკავშირდებოდა. ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე იყო ოქსფორდის გამომცემლობაც.

დაუვიწყარი დღეებისთვის მადლობა კიდევ ერთხელ ორგანიზატორებს, ჩვენს მეგობრებს, ჩემს „იალონს“, ანსამბლის ხელმძღვანელს ნინო ნანეიშვილს ნდობისთვის, დაუღალავი შრომისთვის, იმ ენთუზიაზმისთვის, რომელიც ასე გადამდებია და ყველა იმ ადამიანს, რომლებსაც წვლილი მიუძღვის ჯადოსნური თავგადასავლის შექმნაში“.

ილია მარტყოფლიშვილი

ხელოვნების სკოლის შემაჯამებელი კონცერტი გაიმართა

მუსიკა, როგორც სულის ენა, ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია. მისი მნიშვნელობა ფასდაუდებელია- ჩუმი, ხმამაღალი, სწრაფი თუ მშვიდი, უცნობი თუ ნაცნობი, ის ჩვენს ცხოვრებას მუდამ თან სდევს.

მუსიკის ფასდაუდებლობა და მისი ძალა კიდევ ერთხელ დაგვანახეს ქ. დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის პედაგოგებმა და აღსაზრდელებმა, რომლებმაც ამავე სკოლის დარბაზში 15 ივნისს შემაჯამებელი აკადემიური კონცერტი გამართეს.

კონცერტში მონაწილეობდნენ ხელოვნების სკოლის აღსაზრდელები: ნინო მეხრიშვილი, თეკლა გაბიდაური, დები: სალომე და მარიამ ტოკლიკიშვილები, ელისაბედ გულიაშვილი, ლუკა ჩერქეზიშვილი, სალომე პოპიაშვილი, თამარ შეითნიშვილი, სალომე ლეკაშვილი, ანამარია ნერსესოვი, მარიამ თეთვაძე, ანასტასია ქუშაშვილი, მარიამ ყაჭაშვილი, ალექსი მადოიანი, ქეთი კვესაძე, გიორგი ღვედაშვილი, თამარ საყვარელაშვილი, ლალა ჩოფიკაშვილი, თეკლა წიკლაური, მარიამ ჯინაშვილი, ნიკოლოზ პაპაშვილი და ხელოვნების სკოლის მოსწავლეთა ვოკალური ანსამბლი.

შოპენი, ბახი, ჩაიკოვსკი, დურგლიშვილი, კიკილაშვილი, მერაბიშვილი - ეს იმ კომპოზიტორების მცირე ჩამონათვალია, რომელთა საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოებები ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს. არ გადავაჭარბებ თუ გეტყვით, რომ მათ ყოველ გამოსვლას დარბაზში გასაოცარი სიმშვიდე და შესრულებისგან მიღებული აღფრთოვანება მოჰყვებოდა ხოლმე. ყოველი გამოსვლა მქუხარე აპლოდისმენტებით საჩუქრდებოდა, რაც მათი შრომის შედეგს კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდიდა. სკოლის მოსწავლეთა ვოკალურმა ანსამბლმა საოცარი, წკრიალა და სუფთა ხმით ყველა მოხიბლა, დარბაზში მყოფი თითოეული მსმენელის გულის სიმებს შეეხო და „ააფორიაქა“. შეუძლებელია არ გამოარჩიო და გამოჰყო ნიკოლოზ პაპაშვილის, როგორც სოლო შესრულება (შოპენი), ასევე თეკლა წიკლაურთან ერთად შესრულებული მერაბ მერაბიშვილის ნაწარმოები „სიყვარული“, რომელმაც დარბაზის ხანგრძლივი აპლოდისმენტები დაიმსახურა.

კონცერტის ბოლოს ხელოვნების სკოლის დირექტორი დალი ელისაშვილი სიტყვით წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე: „მადლობა ვუხდი ბავშვებს გაწეული შრომისთვის, დიდი მადლობა ასევე მშობლებს, იმისათვის, რომ თქვენი შვილები დაგყავთ ხელოვნების სკოლაში და აძლევთ კლასიკურ მუსიკასთან ზიარების საშუალებას. ასევე დიდი მადლობა სამხატვრო განყოფილების ხელმძღვანელებსა და ბავშვებს, რომელთა ნახატებიც გამოფენილია დღეს ჩვენს ფოიეში. ცოტა ხნის წინ ჩვენს სკოლაში ჩატარდა კომპოზიტორ მერაბ მერაბიშვილის საღამო, რომელსაც თავად კომპოზიტორიც ესწრებოდა. ჩვენ გვინდა, კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრათ პედაგოგებს და ბავშვებს, ვინც ამ კონცერტში მონაწილეობდნენ და ასევე გვინდა მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გადავუხადოთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას და მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, მერის მოადგილეს ბატონ მალხაზ მერაბიშვილს, ქალბატონ თამარ თამაზაშვილს და კულტურის ცენტრს თანადგომისთვის. “

მუსიკალურ ცხოვრებაში აქტიური მოღვაწეობისთვის და მერაბ მერაბიშვილის საღამოს ორგანიზებასა და მაღალ დონეზე ჩატარებისთვის მადლობის სიგელები გადაეცათ სკოლის პედაგოგებს: ლია ხაჩიაშვილს, მარიამ კიკილაშვილს, ნინო ლაპიაშვილს, დალი ხუციშვილს, ნინო ალადაშვილს, ნინო ნიკვაშვილს, მარიკა მგელიაშვილს, ნინო ანჯაფარიშვილს, თამილა ნადირაშვილს, თამარ კიკილაშვილს; ასევე მოსწავლეებს: ნიკოლოზ პაპაშვილს, ლალა ჩოფიკაშვილს, ლუკა ყაჭაშვილს, თეკლა წიკლაურს, მარიამ ჯინაშვილს. გარდა ამისა, დალი ელისაშვილმა სასიამოვნოდ გაახარა და მრავალწლიანი, ერთგული და დაუღალავი შრომისთვის მადლობის სიგელი და ფასიანი საჩუქარი გადასცა ხელოვნების სკოლის ტექნიკურ მუშაკს თამარ ჯანყარაშვილს, რომელმაც სულ ახლახანს ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები გადალახა და მცირე დროში დაუბრუნდა თავის მრავალწლიან სამსახურს.დალი ელისაშვილმა ხელოვნების სკოლის აღსაზრდელის ნიკოლოზ პაპაშვილისა და მისი პედაგოგის მარიამ კიკილაშვილის კონცერტიც დაანონსა, რომელიც 21 ივნისს, საღამოს 17:00სთ-ზე ჩატარდება ხელოვნების სკოლის დარბაზში. დასწრება თავისუფალია.

მუსიკა ენაა რომელსაც არ სჭირდება თარჯიმანი, რომელიც ყველამ, იცის დიდმაც და პატარამაც, ენაა რომელსაც თითოეული, სულის ყველაზე ღრმა ადგილშიც, სრული არსებით გრძნობს და აღიქვამს. ასეთი აკადემიური წარდგენები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მუსიკა ამ ფუნქციას,შეეხოს ჩვენი გულის ყველა სიმს, ნამდვილად ასრულებს. მადლობა ყველას ამ სიმების შეტოკებისთვის, თვალზე ცრემლისთვის, ბედნიერების ღიმილისა და დადებითი ემოციებისთვის. თქვენი ანგარიში წარმატებითაა ჩაბარებული.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი
ხათუნა გენაშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება 5 ოთახიანი ბინა ქ.დედოფლისწყაროში. მისამართი ჰერეთის ქ. №2 , მიკრორაიონში; კორპ.11;ბ.12. მე-4 სართული. ბინას აქვს 2 სველი წერტილი. 2 აივანი და საკუჭნაო. ფასი:22000$; ტელ: 571 40 48 77; (რუბიკა) რობა ჩიტაური.

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 19.06		სამშაბათი 20.06		ოთხშაბათი 21.06		ხუთშაბათი 22.06		პარასკევი 23.06		შაბათი 24.06		კვირა 25.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
26 °	15 °	23°	15 °	24 °	14 °	26 °	15 °	26 °	15 °	26 °	15 °	27 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბულალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი